FS 6001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6001.
899
332-528

ᲨᲔᲡᲬᲐ

Წართქმული ახალციხის ღუთის-მშობლის მიძინების სობოროში, ბორის ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან ახალციხის დეკანოზისა და ბლაღოჩინის ბიორგი ბამრეკელოვისადმი, შემთხვევისა გამო ორმოცდა-ათი წლის მისი სამსახურისა. 1881 წელსა აგვისტოს 26 დღესა.

I 234/2

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა
იყოს თქვენზედა.

მაღალ ღირსო ᲓᲐ ᲣᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲝ მამაო დეკანოზო გიორგი! დღეს, შემდგომ სემინარიის სწავლის შესრულებისა, თქუენ დღესასწაულობთ ორმოცდა ათის წლის სამსახურსა თქუენსა სასულიერო წოდებაშიდ, ვითარსა სამსახურსა ებრაელნი უწოდებენ იუბი-

7ᲒᲠ. (16×11), [illegible] 6001
FS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეის. ესოდენნი წელნი სარბიელსა ზედა თქუენის სამსახურისასა, თქუენ-განვლეთ წინაშე ღუთისა და მთავრობისა ერთგულად ⁊ პატიოსნად, რაისათვის მოგანიჭათ ღმერთმან ჯანი სანგრძლივ სამსახურისა ⁊ კეთილნი მენი დაჯილდოებულნი სწავლითა ⁊ სარისხითა; ხოლო უმაღლესმან სასულიერო ⁊ საშსედრო მთავრობამ შეგმოსათ სარისხითა დეკანოსობისათა, ⁊ პატივ გცათ მაღალ სარისხის ჯვრების დაჯილდოებითა.

მამაო დეკანოზო! შემდგომ დაარსებისა რუსეთის მთავრობაში სასულიერო სემინარიისა, პირველი ⁊ მხოლოდ მხოლოობითი მაგალითი თქუენ სართ საქართველოში, რომელიც დღესასწაულობთ ორმოცდაათი წლის სამსახურსა სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიელსა ზედა მწყემსობისასა, ⁊ ძასთა-
ნავე აღუვაებული ჯილდოებითა ⁊ ბედ-
ნიერის შვილებითა, რადგანაც ივი-
ნიცა არიან აუვაებულნი სწავლითა,
ხარისხითა, ჯილდოებითა ⁊ პატიოს-
ნებითა. ⁊ ესეცა დიდი სასელი ⁊ პა-
ტივი არს თქუენთვის, პატიოსანო დე-
კანოზო.

მაღალ ღირსო დეკანოზო! მველს
დროშიდ წარჩინებულთ მამათ მთავარ-
თა ბერძენნი უწოდებდენ პატრიარქად,
ვითარცა მოგვითხრობს წმინდა დაბადება
ნოესთვის, აბრამისთვის ისაკ ⁊ იაკო-
ბისთვის. გარნა ამ ახალ დროშიდ თქუენ-
ნის შვილებისთვის, შვილის შვილე-
ბისათვის, ⁊ სრულიად თქუენი მონა-
თესავე ⁊ მოგვარეთათვის თქუენ შეი-
ქენით თქუენის კეთილის ცხოვრებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ სანგრძლივ წარჩინებული სამსახურითა მამათ-მთავარი ჯ მნათობი, განმანათლებელი მათი.

მამაო დეკანოზო! საქართველოს საეკლესიერო წოდების ისტორიის გორიზონტსა ზედა ცხადად აბრწყინებს თქუენი სწავლა ჯ სამსახური, სამსახური რომელიც ამ უკანასკნელს დროს დაგვირგვინებულ იქმნა მოციქულებრ ქადაგებით ახალციხეს, სადაცა იყო ძველად მოკიდებული შავის ზღვის ჰირათ ისტორიული ხალხი, დაბადებაში მოხსენებული „მოსოხად,“ ესე იგი მესხად. თქუენმა სამსახურმა სასულიერო სასწავლებელშიდ: თბილისს, გორს ჯ ქუთაისსა, აღზარდნა მრავალნი მოწაფენი, რომელნიცა აწ ღუთისა ჯ მთავრობის წინაშე მსახურებენ სახელოვნად, სარის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვნემით ⸗ ერთგულებით, ვითარცა
მცხეთი/სდეკანოზი ანდრია გურგენიძე ⸗
აფხაზეთის უფროსი ბლაღოჩინი დღეს
თანა მეინახე ⸗ თანა მწირველი ჩვენი დე-
კანოზი დავით მაჭავარიანი. მათ შო-
რის, აჭა ერთი მათგანი მეცა ძველად
თქუენი მოწაფე გორის სასულიერო
სასწავლებლისა, ⸗ აწ მდაბალი ეპის-
კოპოსი გორისა, თანაშემწე საქართვე-
ლოის ექსარხოსისა. მე ცხადად მას-
სოვს ⸗ გამოვისტამ თქუენს ოსტატო-
ბას ⸗ მოძღვრებას; მე უწყი, ვითარ
გორის სასულიერო სასწავლებელში
ვითარცა ოსტატი ⸗ ზედამხედველი, ანუ
„უჩიტელი ⸗ ინსპეკტორი“ წინ ხელთ
გძღვანელობდი სასულიერო მოწაფეთა
სწავლითა, დარიგებითა ⸗ მაგალითებ-

F 287/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითა ეოფაქცევითა. აჯა, ძველო ჩემო
უფროსო ტ ოსტატო ტ დღეს თანა-
მწირველო, თქუენ კეთილ ინებეთ მო-
წვევა ჩემი ამ თქუენი ბედნიერის ის-
ტორიულის დღესასწაულობის დროი-
სათვის ტ მეცა, თანხმად სურვილისა
ტ ნება დართვისა საქართველოის ექსარ-
ხოსისათა, წარმოვემართე ჩემდა უცნობს
ადგილს ახალციხეს, რომელ არს ძველი
ესხეთი ტ შემდეგ სამცხე ტ საათაბეგო,
პატივსადებლად თქუენდა, ტ დღეს კრე-
ბულითურთ გიწირე ტ პარაკლისი მშვი-
დობისა გარდაგისადე, ტ აწ ამ თქუენსა
საწინამძღვარო ღუთისა-მშობლის ძიძი-
ნების სობოროში დაგლოცამ ტ გაკუ-
რთხებ ღუთის მშობლის სატითა. მფა-
რველი საქართველოისა ღუთის-მშობე-
ლი, ეოველად წმიდა მარიამი, რომლისა

წილსდომილ არს საქართველო, ანუ ქმა-
ლი იკერია, ⁂ ძე მისი უფალი ჩუენი
იესო ქრისტე გფარვიდეს თქუენ ⁂ სას-
ლეულობასა თქუენსა მადლითა თვისი-
თა ამიერიდგან ⁂ უკუნისამდე. ამინ.

FS 6001

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 сент. 1881 г.

თ ფ ი ლ ი ს ი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1881

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՏԵՂԾԱԳՈՐԾ